N 01-81
06/10/2020

81-01-4-202010060953

შპს ,,ენგურჰესის“ მიერ შენობა-ნაგებობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) ჩასატარებლად შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისია:

1. **ლევან მებონია** - შპს ,,ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. **ზვიად კილასონია** - შპს ,,ენგურჰესის“ ფინანსური დირექტორი - სატენდერო კომისიის წევრი;
3. **იური შონია** - შპს ,,ენგურჰესის“ რემონტების მენეჯერი - სატენდერო კომისიის წევრი;
4. **ვახტანგ მოლაშხია** - შპს ,,ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;
5. **რევაზ გვაგვალია** - შპს ,,ენგურჰესის“ საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;

კომისიის აპარატი:

1. **ლევან მებონია** - შპს ,,ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - აპარატის ხელმძღვანელი;
2. **მედეა კორსანტია** - შპს ,,ენგურჰესის“ იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე - აპარატის წევრი;
3. **რომან ლაგვილავა** - შპს ,,ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - აპარატის წევრი;

შვებულებაში ყოფნის გამო სხდომას არ ესწრებოდა:

1. **გია ხუბუა** - შპს ,,ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დღის წესრიგი:

შპს "ენგურჰესის" ბალანსზე რიცხული №21 სამსართულიანი სახლის გადახურვის სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) სახელმწიფო შესყიდვაზე სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული

სატენდერო პირობების პროექტის განხილვა და დამტკიცება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა შპს "ენგურჰესის" ბალანსზე რიცხული №21 სამსართულიანი სახლის გადახურვის სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით ელექტრონული ტენდერის გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად დასახელდა: 23 400 (ოცდასამიათას ოთხასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სატენდერო პირობების წარმოდგენილი პროექტი (სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია).
2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს: 23 400 (ოცდასამიათას ოთხასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ლევან მებონია

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ზვიად კილასონია

ფინანსური დირექტორი

იური შონია



რემონტების მენეჯერი

ვახტანგ მოლაშხია



შესყიდვების და მომარაგების სამსახურის უფროსი

რევაზ გვაგვალია

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი

მედეა კორსანტია

იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე

რომან ლაგვილავა

შესყიდვების და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი